№ 87 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, 21 აპრილი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისათვის.
გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომ. ს 14 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, აპრილის 21-ს, ხოროს ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით **„ლაკმე“**. შაბათს, აპრილის 24-ს, ოპერა მუშებისთვის ჰოფმანის „ზღაპრები“ სამშაბათს, აპრილის 27-ს, ფალიაშვილის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი „ზაზა“. პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. „რიგოლეტო“. II. „ქორწილი მოლოროსიაში“. შაბათს, მაისის 1-ს, ოპერა მუშებისთვის და საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო და კოტე“.

449

## საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად დამფუძნებელ კრების 1920 წლის 2 აპრილის დეკრეტისა და მთავრობის განკარგულებისა გადიდებულია აქციზი იმავე თვის 23-ნ, სხვათა შორის:

შაქარზე, საზღვარ-გარეთელ ასანთზე და საზღვარ-გარეთელ ჩაიზე.

ყველა სავაჭრო საწყობები და დაწესებულებანი (ბანკები, სატრანსპორტო კანტორები და სხვა), რომელთაც აღნიშნულ დროისთვის (23 აპრილისათვის) ექნებათ, ბანდეროლ გადაკრული თუ უბანდეროლო საზღვარ-გარეთელი ასანთი 1 ყუთზე (1000 კოლოფი) მეტი, ვალდებულნი არიან ამის შესახებ წერილობით განუცხადონ საექციზო სამმართველოს (სასამართლოს ქ. № 50) იმავე აპრილის 23 რიცხვამდე.

448 1—1

## კ ო ნ კ უ რ ს ი

**გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტი**

აცხადებს კონკურსს სეისმომძლე საცხოვრებელ სახლების პროექტის შესადგენათ, ვაკესა და 30° დალმართ ადგილებზე.

შ ე მ დ ე გ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი:

1) უნდა დამზადდეს პროექტი სოფლურ ორ ოთახიან სახლისა თავისი სამზარეულოთი; პირველი ოთახის სივრცე=4—5 ოთხკუთხი საჟ., მეორესი=7—8 ოთხკუთხი საჟ. მეორე ოთახის აგებულობა ნავარაუდევი უნდა იყოს ისე, რომ საჭიროებისამებრ, კაპიტალურ შუაკედლის გაუკეთებლად შეიძლებოდეს მისი ორ ოთახად გაყოფა, მეორე ოთახშივე უნდა მოეწყოს საწოლი ტახტები და კედლის განჯინები ჭურჭლეულობის, ტანისამოსის და ყოველ დღე სახმარებელ სანოვაგის შესანახად.

2) სახლზე მიშენებული უნდა იქმნეს: ვერანდა (ბალკონი), ერთი საჟ. სიგანისა, გრილი საკუჭნაო სურსათისათვის (ლობიო, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სივრცე=2 კვ. საჟ. და ფეხის ადგილი, რომელიც თუმცა შეერთებული უნდა იყოს სახლთან, მაგრამ ჰიგიენიური მოსაზრებით არ უნდა იყოს მიდგმული მაზე ორგანიულად.

3) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სეისმომძლე.

ბ) განზრახული შენობა უნდა იყოს ეკონომიური. (მასალის დაზოგვით ნაშენი).

გ) განზრახული შენობა უნდა იყოს ჰიგიენური.

დ) განზრახული შენობა უნდა იყოს ცეცხლის მძლე.

ვ) განზრახული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფა-ცხოვრების პირობებს.

3) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნებით ანასახს, რამდენადაც ასეთ მცირე და მარტივ მიზანს შეეფერება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებისა და ეროვნულ თავისებურებასთან.

4) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვა და სვა სააღმშენებლო მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შემდეგი მასალა:

ა) საძირკველისათვის-საფუძე-ქვა, დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.

ბ) კედლისათვის—აგური, ქვა, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.

გ) ჭერისათვის—დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა.

დ) სახურავისათვის—რა მასალასაც ავტორი დაინახავს საჭიროდ, გარდა რკინისა, რომლის ხმარება არ არის სასურველი.

5) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქმნეს ხმარებული შემდეგი მასალა: რკინა, დუღაბი (ცემენტი), ტყის დამუშავებული მასალა (გაცენაკლისი—სახურავის ყავარი) კედლების ასაშენებლად არ შეიძლება ხმარება მთელი ხის ძელების, თუნდაც დაუმუშავებელისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვადა დანიშნულია მაისის ათი;

7) თავის გადაწყვეტილებას ჟიური გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა. პრემიის მისჯის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოფენილ იქნება საჯაროდ. განცხადებანი ჟიურის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილავად იქნება დატოვებული.

ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის უახლოეს საერთო სხდომაზე გაიხსნება სადევიზო პაკეტები და გამოქვეყნდება ავტორის ვინაობა.

8) ჟიური შესდგება შემდეგი 5 პირისაგან: ინჟ. ქურდიანი, ტერ-მიქელოვი, რიჩგორსკი—სავიჩი, წარმომადგენელი გორის ერობისა და მთავარ კომიტეტის. გარდა ამისა მოწვეულ იქნება მხატვართა და გეოლოგთა კომისიები დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ღიათ, რაიმე დევიზით, და დახურულ სადევიზო პაკეტით, რომელშიაც იქნება ნაჩვენები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნახაზი მასშტაბი: 2 დიუმ.=საჟენს—შენობის გაჭრილობა და პირისათვის (ფასად)=1 დიუმი საჟენს,—გეგმისათვის პროექტის აგებულობის წვრილმანები, რომელიც ნახავენ მის თავისებულებს (თანახმად მისი სეისმომძლეობის) დანიშნულებისა უნდა შესრულდეს გადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულობით. პროექტების ნახაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25000 მან., და 15000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოდგენილ უპრემიო პროექტებიდანაც 10000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითეულმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი ვაკისა და ფერდობებისთვის, პროექტის განხილვა შეიძლება აგრეთვე ცალცალკე და ჟიურის გადაწყვეტილებით. პრემია მიეცემა თვითეულ პროექტს ცალკე, საერთო და გადადებულ თანხიდან ჟიურის გადაწყვეტილების თანახმად.

13) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქმნეს ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

კომიტეტის თავმჯდომარე **რ. არხენიძე.**

435 3—3

## ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი

ამით აცხადებს რომ ორშაბათს ამა წლის 26 აპრილს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ჰოსპიტლის ძველ საქმეების და დავთრების გასასყიდათ. ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათზე.

732 2 1

## ოფიციალური განყოფილება

## კ ა ნ ო ნ ი

**მესხეთ-ჯავახეთისა და არტაანის რაიონში სამომრიგებლო ინსტიტუტის შემოღებისა.**

1. საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის სექტემბრის 24-ს კანონის დამატებად („კანონთა კრებული“ 1918 წ. კანონი № 66) შემოღებულ იქნეს ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან მესხეთ-ჯავახეთსა და არტაანის რაიონში სამომრიგებლო მოსამართლეთა ინსტიტუტი და ამ კანონთან დართული მისი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული სამომრიგებლო ინსტიტუტის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წ. თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე ერთი მილიონი ხუთას ოცდა რვა ათას შვიდას ორმოცი (1.528.740) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**მესხეთ-ჯავახეთისა და არტაანის სამომრიგებლო ინსტიტუტისა 1920 წ. თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე.**

| №№ რიგზე. | თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა. | რიცხვი. | თითეულს თვიურად | ყველას თვიურად. | ყველას 1920 წ. თებერვ. 1-დან ივნისის 1-მდე. |
|---|---|---|---|---|---|
| | **პირადი შემადგენლობა.** | | | | |
| 1 | უბნის მომრიგებელი მოსამართლე . . . . . | 11 | 4000 | 44000 | 176000 |
| 2 | მდივანი . . . . . . . . . . . . . | 11 | 2200 | 24200 | 96800 |
| 3 | თარჯიმანი . . . . . . . . . . . . | 11 | 1800 | 19800 | 79200 |
| 4 | ბოქაული (იგივე საქმის მწარმოებელი) . . . | 11 | 1800 | 19800 | 79200 |
| 5 | გადამწერი . . . . . . . . . . . . | 11 | 1085 | 11935 | 47740 |
| 6 | მანქანით გადამწერი . . . . . . . . | 11 | 1085 | 11935 | 47740 |
| 7 | მსახური . . . . . . . . . . . . . | 11 | 1015 | 11165 | 44660 |
| 8 | გზირი . . . . . . . . . . . . . . | 11 | 1015 | 11165 | 44660 |
| 9 | საკანცელარიო ხარჯი . . . . . . . . | 11 | 1000 | 11000 | 44000 |
| 10 | ბინის დაქირავება-გათბობა-განათებისათვის . | 11 | 800 | 8800 | 35200 |
| 11 | საგზაო და დღიური ხარჯი უბნების საზღვრებში მიმოსვლისათვის . . . . . . . | 11 | 500 | 5500 | 22000 |
| 12 | ინვენტარის შეძენისათვის (ერთდროულად) . | — | — | — | 540000 |
| | ს უ ლ . . . . . | — | 16300 | 179300 | 1257200 |

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## შ ტ ა ტ ი

**მესხეთ-ჯავახეთის ოლქის სამომრიგებლო ყრილობისა.**

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რიცხვი. | თვითეულს თვიურად. | ყველას თვიურად. | ყველას 1920 წ. თებერვ. 1-დან ივნისის 1-დე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თავმჯდომარე . . . . . . . . . . . | 1 | 5000 | 5000 | 20000 |
| 2 | მდივანი . . . . . . . . . . . . . | 1 | 2500 | 2500 | 10000 |
| 3 | მდივნის თანაშემწე . . . . . . . . | 1 | 2000 | 2000 | 8000 |
| 4 | თარჯიმანი . . . . . . . . . . . . | 1 | 2000 | 2000 | 8000 |
| 5 | ბოქაული . . . . . . . . . . . . . | 1 | 1800 | 1800 | 7200 |
| 6 | გადამწერი . . . . . . . . . . . . | 2 | 1085 | 2170 | 8680 |
| 7 | მანქანით გადამწერი . . . . . . . . | 1 | 1085 | 1085 | 4340 |
| 8 | მსახური . . . . . . . . . . . . . | 1 | 1015 | 1015 | 4060 |
| 9 | გზირი . . . . . . . . . . . . . . | 1 | 1015 | 1015 | 4060 |
| 10 | საწერ მასალისათვის . . . . . . . . | — | — | 1000 | 4000 |
| 11 | ბინის დაქირავება, გათბობა და განათება . | — | — | 800 | 3200 |
| 12 | საგზაო და დღიური ხარჯი . . . . . . | — | — | 10000 | 40000 |
| 13 | ერთდროულად ავეჯების შეძენა . . . . . | — | — | — | 150000 |
| | ს უ ლ . . . . | — | 17500 | 30385 | 271540 |

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## კ ა ნ ო ნ ი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების, სავეტერინარო პერსონალისა და შრატის დამმზადებელი სადგურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის-დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების, სავეტერინარო პერსონალისა და შრატის დამმზადებელი სადგურის შტატი და ხარჯთაღრიცხვა ამ კანონთან დართული ნუსხის თანახმად.

2. ამ კანონის პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე ხუთი მილიონი ცხრაას ოცი ათას სამას ოთხმოცდა ხუთი (5.920.385) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე არ ვრცელდება 1918 წლის ნოემბრის 10-ს მთავრობის დადგენილებით სავეტერინარო პერ-

სონალისათვის დაწესებული ათმანეთიანი დღიური მომატება და დამფუძნებელი კრების 1919 წლის მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს დეკრეტების მოქმედება.

4. ამ კანონის პირველ (1) მუხლში აღნიშნულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

1920 წ. აპრილის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

### ტფილისის უსინათლოთა სკოლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან ტფილისის უსინათლოთა სკოლის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ დეკრეტთან დართული.

2. პირველ მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე სამას ოცდა ჩვიდმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა ერთი (337,981) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## კანონი.

### ფოთის მეზღვაურთა სკოლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

1. დამტკიცდეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ფოთის მეზღვაურთა სკოლის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ კანონთან დართული.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ყოველწლიურად სამას ჩვიდმეტი ათას შვიდასი (317.700) მანეთი, ხოლო ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე სამოცდა ოთხი ათას ხუთასი (64. 500 მანეთი.

2. კანონი ესე ძალში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

### საერობო სამკურნალო დაწესებულებათა სამეურნეო ნაწილის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ამ დეკრეტთან დართული საერობო დაწესებულებათა სამეურნეო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვა;

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საერობო დაწესებულებათა სამეურნეო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინ. საქმ. მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე შვიდი მილიონი ცხრაას ოცდა სამი ათას ოთხას ოთხმოცდა ჩვიდმეტი (7,923,497) მანეთი, შემდეგი განაწილებით: ა) ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსათვის ოთხი მილიონი ექვსას თოთხმეტი ათას ხუთას ორმოცდა ხუთმეტი (4,614,555) მანეთი; ბ) ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებულ სულით ავადმყოფთა თავშესაფარისათვის ერთი მილიონი ორასი ათას რვაას ხუთმეტი (1,200,815) მანეთი; გ) ქალ. ქუთაისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარისათვის შვიდას სამოცდა ერთი ათას შვიდას ოთხმოცდა თვრამეტი (761,798) მანეთი; დ) ტფილისის ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტისათვის ერთი მილიონი ოცდა ცამეტი ათას ას ოცდახუთი (1,033,125) მანეთი და ე) ტფილისის დავრდომილთა თავშესაფარისათვის სამას ცამეტი ათას ორას ოთხი (313,204) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წლის აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

### 3 აპრილის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარის მაგიერ ე. გეგეჭკორი, მინისტრები: რამიშვილი, ხომერიკი, ერაძე, ლორთქიფანიძე, სახელმწ. კონტრ. ამხანაგი ანდრონიკაშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბახტაძე, ავალიანი, გედევანიშვილი, დეპარტ. დირექტორები: ჭიჭინაძე, ჟორდანია, მდივანი ლომთაძე.

პროექტი დეკრეტისა ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მე-2 განყოფილების სარწყავ სისტემის დასამთავრებლად 9.368.000 მან. გადადების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— პროექტი დეკრეტისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს 1919—20 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 43.701.848 მან. გადადების შესახებ სამეურნეო-საოპერაციო ხარჯების დასაფარავად მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— კანონ-პროექტი მუშათა უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის მე-5 და მე-9 მუხლის შეცვლისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— კანონ-პროექტი რკინის გზებზე მომხდარ უბედურ შემთხვევით დასახიჩრებულ რკინის გზის მოსამსახურეთა, ხელოსანთა, მუშათა და მათი ოჯახის წევრების დაჯილდოების დებულების მე-4 მუხ. შეცვლისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფ. კრებას.

— გზათა დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება გზა-ტკეცილების სამმართველოსათვის დამატებით 15.122,600 მან. კრედიტის გახსნის შესახებ, მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფ. კრებას.

— დეპეშათა სააგენტოს 1920 წ. წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფ. კრებას.

### 6 აპრილის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ: მთავ. თავმჯ. ნ. ჟორდანია, მინისტრები: რამიშვილი, გეგეჭკორი, ხომერიკი, ერაძე, არსენიძე, ლორთქიფანიძე, სახელ. კონტრ. ამხანაგი ანდრონიკაშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ცინცაძე, ჭიჭინაძე, ქარცივაძე, გედევანიშვილი, ჭავჭანიძე, დეპარტამენტთა დირექტორები: გ. ჟორდანია, ბ. ჭიჭინაძე, ე. ალშიბაია, მდივანი ლომთაძე.

— ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და მათ ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენად სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში გადაიდოს სესხად 400.000 მამხედრო-ფონდიდან.

— თელავის ქალაქის საბჭოს 1919 წლ. 6 ოქტომბრის დადგენილება, ალექსანდრე თანანდილოვის უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ, დამტკიცებულ იქნას.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

### (10 აპრილის სხდომა, ოქმი № 3).

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას თამჯდომარეობს გ. ბ. აგაევი. დაესწრნენ: საქართველოდან: გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე. სომხეთიდან: სომხეთის პარლამენტის ყოფილი წევ. მამიკონიანი, სომხეთის ყოფ. დიპლომ. წარ. ბეგზადიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ოგანჯანიანი, სომხ. პარლ. წევრი ხაჩატურიანი. აზერბეიჯანიდან აზ. პარლ. წევრი აგაევი. იუსტ. მინისტრის ამხ. კრიჩინსკი, საქარ. მყოფი დიპლ. წარმომად. ვექილოვი. სხდომა იხსნება საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზე. კითხულობენ პირველი სხდომის ოქმს.

**აგაევი.** ხომ არავის არა სურს ამის შესახებ აზრი გამოსთქვას.

**კრიჩინსკი.** მე გთხოვთ აღნიშნოთ, რომ ჩვენ, როგორც პირველ აგრეთვე მე-2 სხდომაზე ვაცხადებდით, რომ ადერბეიჯანის დელეგაციას პრინციპალურად არაფერი არა აქვს საწინაღმდეგო სომეხთა და მუსულმანთა შორის შეტაკების მოსპობის საკითხის დასმისა, მაგრამ ჩვენ ჩვენი მთავრობისაგან არა გვაქვს რწმუნებულება ამის შესახებ მოლაპარაკება ვაწარმოოთ.

**ლორთქიფანიძე.** ამ შემთხვევაში ოქმი მე სრულად არ მიმაჩნია, ამიტომ აუცილებლად ვსთვლი, რომ იგი შევსებულ იყოს.

**გეგეჭკორი.** მე ვუერთდები ლორთქიფანიძის აზრს. საერთო სურვილის თანახმად პრეზიდიუმს ევალება 9 აპრილის სხდომის უფრო დაწვრილებითი ოქმის შედგენა.

**აგაევი** რადგანაც ჩვენ ჩვენი მთავრობისაგან ჯერ პასუხი არ მიგვიღია, ამიტომ წინადადება შემომაქვს შემდეგი სხდომების დღიური წესრიგის შემუშავების შესახებ. თუ დამსწრეთათვის ეს მისაღებია გთხოვთ წინადადება შემოიტანოთ.

**ოგანჯანიანი.** რადგანაც აზერბეიჯანის მთავრობის პასუხი არა გვაქვს და შეუძლებელია უფრო მნიშვნელოვან საკითხების განხილვას შეუდგეთ, ამიტომ რა თქმა უნდა, უნდა დავსახოთ საერთო დღიური წესრიგი.

**გეგეჭკორი.** ჩვენ ჯერ-ჯერობით სამი ძირითადი საკითხი გვაქვს: 1. ტერიტორიალური. 2. ნაბიჯების შეთანხმება საგარეო პოლიტიკაში სამი რესპუბლიკისა და 3. კონფედერაციის შესახებ. ტერიტორიალური საკითხის გადაწყვეტა სამი რესპუბლიკის საერთო კონფერენციაზე შეუძლებელია. ტერიტორიალური დავა არის სომხეთსა და საქართველოს, სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის და ამიტომ მათი გადაწყვეტაე რმთანეთს შორის უნდა მოხდეს. როდესაც საქართველოს დელეგაციამ ეს საკითხი წამოაყენა მას მხედველობაში ქონდა უფრო პოლიტიკური მხარე, ვიდრე დეტალები საზღვრებზე დავის შესახებ. ამ დავათა მიზეზი არის მხარის ეთნოგრაფიული რუქა და ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტის საფუძვლათ უნდა მივიღოთ მცხოვრებთა ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასახლება და ამგვარათ ერთი რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებთა ერთგვარი მასის შექმნა, რაც, დაამშვიდებს ქვეყანას და ბოლოს მოუღებს შეტაკებებს. ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ეს საკითხი კონკრეტულად დავსვათ, მაგრამ წინადადებას ვიძლევით გადავწყვიტოთ იგი პრინციპიალურად და თუ ჩვენ ამ მხრივ რაიმე შეთანხმებას მივაღწევთ ამით დიდ ნაბიჯს გადავდგამთ.

ჩვენი მოქმედების შეთანხმების წინადადებით ჩვენ გვსურს შევქმნათ მთლიანობა სურვილისა და პოლიტიკური ნაბიჯებისა, რასაც რესპუბლიკების დამოუკიდებლობათა განმტკიცების საქმის წინ წაწევა შეუძლია. რაც შეეხება კონფედერაციის საკითხს ეს ჯერ ნაადრევია, რასაკვირველია, პრაქტიკულ თვალსაზრისით, რადგან პრინციპიალურად ჩვენ მისი მომხრენი ვართ. ჩვენ რომ წინასწარ შევძლოთ ზოგიერთ პირობის შექმნა კონფედერაციის იდეის განსახორციელებლად, ჩვენ მაშინ შევთანხმდებოდით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უკვე შეუდგა შეთანხმების რეალურ ფორმებს და ჩვენ ადერბეიჯანთან და სომხეთთან სატრანზიტო ხელშეკრულება უკვე გვაქვს, ადერბეიჯანსა და სომხეთის კი ამგვარი ხელშეკრულება ერთმანეთ შორის არა აქვთ. ამ გვარად ცალ-ცალკე რესპუბლიკათა მოქმედების შეთანხმება და მუშაობა თავის შედეგში მოგვცემდა კეთილ ნაყოფს ერთმანეთის დასაახლოვებლად. აი მოკლეთ, თუ როგორ გვესმის ჩვენ კონფერენციის საერთო პროგრამა.

**მამიკონიანი.** მე არ ვყოფილვარ პირველ სხდომაზე და არ ვიცი, თუ როგორ იყო დასმული საკითხი. რასაკირველია ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს გაუზიაროთ შეხედულობა დღის წესრიგის შესახებ და აგრეთვე მაზე, რაც ამ საკითხთან არის დამოკიდებული. მაგრამ რადგან ჩვენ ერთსა და იმავე თვალსაზრისს ვადგევართ, რომ შეტაკების შეუწყვეტლად არ შეიძლება ორგანიული მუშაობის დაწყება, კონფერენციამ უნდა ხაზი გაუსვას ამ მდგომარეობას და გადასდოს ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა იმ დრომდე, სანამ ეს მთავარი საკითხი არ გადაწყდება.

**ბეგზადიანი:** მე ვფიქრობ, რომ კონფერენცია თავის თავის წინააღმდეგობაში არ უნდა ჩავარდეს; პირველ სხდომაზე ჩვენ ყველა შევთანხმდით, რომ ზარბაზნების გრიალის დროს არ შეიძლება ნაყოფიერი მუშაობა. ჩვენ ამ მდგომარეობას ეხლა გზას ვერ აუვლით და ჩვენ ბოლომდე უნდა წავიდეთ, ე. ი. უნდა მოუცადოთ პასუხს, ამ მთავარი საკითხის გადასაწყვეტად და კონფერენცია მე მგონი დაამცირებდა თავის მორალურ ავტორიტეტს სხვაგვარად რომ მოქცეულიყო და საერთოდ მე, რასაკვირველია, არაფერი საწინააღმდეგო არ მექნებოდა, რომ ჩვენ ეხლა დღის წესრიგზე გველაპარაკნა, როგორც ამის წინადადებას ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი იძლევა.

**აგაევი.** თუ საწინააღმდეგო არავის არ აქვთ მაშინ ჩვენ აღვნიშნავთ კონფერენციისათვის დღის წესრიგს. წინადადებას იძლევიან შესწყდეს სხდომა ადერბეიჯანის მთავრობის პასუხის მოლოდინში.

სხდომას დახურულად ვაცხადებ.

**გეგეჭკორი.** ბ. ბ. ამდენხანს ადერბეიჯანის მთავრობის პასუხი არ არის. მე ჯერ კიდევ გუშინ საქართველოს დელეგაციის სახელით განვაცხადე, რომ პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს კონფერენციაზე უნდა განიხილოს —ეს არის სამხედრო მოქმედების შეწყვეტა და ამასთან ერთად ნათქვამია, რომ თუ კონფერენციამ ეს ვერ გადასწყვიტა, ეს ნიშნავდა ამიერ-კავკასიის კონფერენციის პრესტიჟის დაცემას. მე დღეს თქვენ მოხსენება გავუკეთეთ, რომ მხოლოდ სამწუხარო აუცილებლობამ ჩააყენა ამიერ-კავკასიის კონფერენცია ამ გვარ შეუფერებელ მდგომარეობაში და მე მგონია, რომ ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ მიზნის მისაღწევათ და ჩვენი სხდომა ხვალამდე გადავდოთ.

**აგაევი.** ჩვენ თანახმა ვართ, თუ სომხეთის დელეგაციას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს, მაშინ ნება მომეცით წინადადება მიღებულად გამოვაცხადო. სომხეთის დელეგატები წინააღმდეგნი არ არიან. შემდეგი სხდომა 11 აპრილს, შუადღის პირველ საათისთვის არის დანიშნული. სხდომას დახურულად ვაცხადებ. თავმჯდომარე აგაევი.

## გარეშე საქმეთა სამინისტროში.

გარეშე საქმეთა მინისტრმა შემდეგი წერილი მიიღო:

ბატონო მინისტრო! წმინდა მამა დიდათ დააკმაყოფილა საქართველოს მიერ მამა დელპიუშის მეგობრულმა მიღებამ და აგრეთვე იმ დაპირებამ, რომელიც თქვენმა მთავრობამ აღუთქვა მას კათოლიკეთა ეკლესიის მდგომარეობის შესახებ.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი კათოლიკები, რომელთაც სწამთ თავისი წარსული და ეკლესია, მომავალშიც დაამტკიცებენ, რომ მათში ძლიერია მამულისადმი სიყვარული; წმინდა მამა უერთებს მათ ლოცვებს თავისას, უსურვებს კეთილშობილ და მშვენიერ ქართველ ერს ზნეობრივ და მატერიალურ წარმატებას და სასწრაფოთ განკურნვას იმ უბედურებისგან, რომელიც მოუტანა მას საერთაშორისო ომმა.

გამოვსთქვამ რა უწმინდეს პაპის ამ გრძნობებს თქვენი მხარის მიმართ, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მიიღოს ჩემგან გულწრფელი სურვილები და დარწმუნდეთ ჩემი მისდამი ღრმა პატივისცემაში. კარდინალი **გასპარი.**

## შრომის სამინისტროში.

### სატარიფო პალატის ცირკულიარი.

სატარიფო პალატამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა მუშათა ყველა ორგანიზაციებს და სამუშაოს მიმცემთ:

„5 აპრილის სხდომაზე სატარიფო პალატამ განიხილა რა მუშათა ფრაქციის მოხსენება— სამუშაო ქირის მომატების საკითხი, რომელიც აღძრული იყო მბეჭდავთა, ფარმაცევტთა, გზა ტკეცილების მუშების და საკრედიტო დაწესებულებაში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების მიერ და მიიღო რა მხედველობაში შედეგები წინანდელი სამი მომატებისა, რომელმაც ყველას დაანახვა, რომ თანამედროვე ეკონომიურ პირობებში სამუშაო ქირის ასე მოკლე პერიოდებში გადიდება იწვევს ფულის კურსის დაცემას და პირველ საჭიროების საგნებზე ფასების საოცრად აწევას, რომ რეალური სამუშაო ქირის აწევა ამ ჟამად შესაძლებელია მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებისადმი სხვა და სხვა სანოვაგის მიწოდების ორგანიზაციით, რომ ამ მხრივ უკვე გადადგმული იყო განსაზღვრული ნაბიჯები, რომლებმაც უკვე მოიტანა არსებითი ნაყოფი პურის რაციონის ნახევარი გირვანქიდან 1 გირვანქამდე გადიდებით, შაქრის და ბრინჯის მიწოდებით, და რომ ფულის ნიშნების გადიდებას რესპუბლიკაში მოჰყვება მუშათა მდგომარეობის გაუარესება—სატარიფო პალატამ დაადგინა: 1) სამუშაო ქირის გადიდება არადროულათ იქნას ცნობილი. 2) მუშათა ფონდის მოქმედება გაძლიერებულ იქნას და ის თანდათან შევსებულ უნდა იქნას. 3) ვისაც არ შეუტანია 1000 მან., იძულებით უნდა შეატანინონ. 4) მიენდოს პრეზიდიუმს დაწვრილებით გადაამუშაოს საკითხი დროებითი მუშების მიწოდების ფონდში შეტანის შესახებ.

### შრომის სამინისტროს განმარტებანი.

I

შრომის სამინისტრო განმარტავს, რომ კომისრებსა და სამინისტროს რწმუნებულებს შეუძლიანთ გამოვიდნენ მომრიგებელ კამერაში საქმის გარჩევის დროს მცოდნე პირთა სახით, თუ ამას რომელიმე მხარე მოისურვებს.

II

შრომის სამინისტრო განმარტავს, რომ შრომის მიმცემ და მუშათა შორის (ან ორგანიზაცია—ჯგუფებს) შორის მომხდარი შეთანხმება, რომელიც მიღწეული იყო შრომის კომისარის საშუალებით, ორივე მხარისათვის სავალდებულოა. ასეთი შეთანხმების დარღვევის საქმე უნდა გაირჩეს მომრიგებელ კამერაში ერთ ერთი მხარის განცხადებით ხელშეკრულების კანონის დარღვევის წესით.

## დამფუძნებელი კრება

### 20 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე

მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტები: 1) ოფიცერთა და ჯარის კაცთა ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ; 2) სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექციის შტატისა ღ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ; 3) საქართველოს მუზეუმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ; 4) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის შესახებ აგრეთვე ზოგადათ განხილულ იქნა სადისციპლინო წესდება.

## სომხეთის დიპლომატიურ მისსიის საინფორმაციო განყოფილებიდან.

გაზ. „ადერბეიჯან"-ის № 75-ში აპრილის 17-ს მოთავსებულია ფანტასტიური ცნობები სომხეთის ჯარის მოქმედებების შესახებ, შურაგელის, ზარუმადის და ჩალდირის რაიონებში.

საინფორმაციო ბიურო დარწმუნებით აცხადებს, რომ ნაჩვენები ცნობები გამოგონილი არის და სიმართლეს არ შეეფერება. ასეთი ცნობები გამოწვეულია სომხეთის მთავრობის ნდობის დასაკარგავად: ყარსის ოლქში სრული სიწყნარე არსებობს. მთავრობის სახელზე გამუდმებით მოდის დეპეშები მუსულმანმცხოვრებლებისაგან, რომელ ნიცნდობას დამადლობას უცხადებენ მთავრობას, რომ მოსულ აგიტატორებიდან გაანთავისუფლეს ისინი.

## შინ. საქმ. და გან. მინისტრი ნ. რამიშვ ლი გორში.

კვირას, 18 აპრილს გორს ესტუმრა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწის ივ. ქარციველის თანხლებით. მინისტრმა დაათვალიერა დანგრეული გორი, ჩამოიარა ყველა დაწესებულებები: სამაზრო ერობა, ქალაქის თვითმმართველობა, გვარდიის შტაბი, მილიციის სადგომები და სხვ. და ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ჰქონდა თათბირი გორისა და მაზრის მდგომარეობის შესახებ. როგორც გამოირკვა გორის აღდგენისათვის მუშაობა უკვე დაწყებულა. ეგერ-აგერ უკვე აუშენებიათ ხის შენობები. დაზარალებულები მოელოდნენ და უკვე ჩამოვიდნენ მიწის მზომელები და ტეხნიკები, რომლებმაც უნდა დამიჯნონ და დაგეგმონ ის ადგილები, სადაც გაშენებული უნდა იქნეს სახლები. ამგვარათ სულ მოკლე ხანში დაიწყო მუშაობა ამ მხრივ. გორის ქალაქის თავმა გამგეობის და საბჭოს სახელით სთხოვა მინისტრს ნება დართოს მთავრობამ გორის აღდგენისათვის დაწესდეს ერთგვარი გადასახადი გორიდან გატანილ სატრანზიტო საქონელზე. მინისტრმა დახმარება აღუთქვა.

იმავე დღეს მინისტრი დაესწრო გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კონფერენციას, სადაც მოხსენება გააკეთა პოლიტიკურ მომენტზე და ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ.

19 აპრილს, სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის ეზოში, სადაც შტაბის მიერ გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციისათვის მოწყობილია საზაფხულო თეატრი გაიმართა დიდი მიტინგი. მინისტრმა აქაც მოხსენება გააკეთა დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების შესახებ. ხალხი სულგანაბული უსმენდა მას და დიდი კმაყოფილი დაიშალა. გაღამოს მატარებლით მინისტრი ტფილისს გამოემგზავრა.

## სენატორის განცხადება

თანახმათ ამა წლის 24 იანვრის დადგენილებისა, მე მონდობილი მაქვს მოვახდინო სამხედრო, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა რევიზია იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ და როგორი სისწორით არის შესრულებული ამ უკანასკნელთაგან ჯარის შედგენა-შევსების და დეზერტირების შესახებ. გამოცემული კანონ-დეკრეტები, ბრძანება. განკარგულებანი. მთლიან და წარმატებით დასამთავრებლათ ამ მონდობილობისა, ვთხოვ ყველა დაწესებულებებს და კერძო პირთ მომაწოდონ ცნობები ამ საკითხის შესახებ შემდეგი მისამართით: სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის კანცელარია. 2-დან 3-საათამდე.

სენატორი რონიშვილი.

## უცხოეთი

### ფინლიანდიის ახალი მთავრობა.

ფინლიანდიის მინისტრთა ახალი კაბინეტი შედგენილია ბურჟუაზიულ პარტიების კოალიციის საფუძველზე. ახალ მთავრობის თავმჯდომარედ იქნება პროფესორი ერიხი;—გარეშე საქმეთა მინისტრი—ხოლსტი.

### ამერიკა და გერმანია.

შეერთებულ შტატების სენატმა გერმანიის მთავრობას გაუხსნა ერთი მილლიარდის კრედიტი, პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგის და ხორბლის შესაძენად.

### ლლოიდ ჯორჯი—ლიტვინოვის შესახებ.

ლლოიდ ჯორჯიმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ ლიტვინოვის ჩამოსვლა ლონდონში არ უნდა იყოს წინანდელ პირობებით, როდესაც მას მინიჭებული ჰქონდა ყოველგვარი დიპლომატიური პრივილეგიები და დიდ პროპაგანდის ასპარეზზს უშლიდა მას. ჩვენ უნდა მტკიცედ ვიცოდეთ ის, რომ არავის უფლება არა ჰქონდეს ინგლისში პროპაგანდა გაგვიწიოს. ინგლისი არ საჭიროებს სხვა და სხვა პოლიტიკურ პროპაგანდის გავრცელებას.

### მონარქიზმი ჰუნგრეთში.

ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ მთავრობას დაუდგენია ჰუნგრეთი ჩასთვალოს მონარქიულ წესწყობილების სახელმწიფოდ. მთავრობას დაერქმევა ჰუნგრეთის სამეფო (კოროლის) მთავრობა, ყველა ოფიციალური საბუთები გამოიცემა კოროლის მიერ. სენ-ეტიენსის გვირგვინი კიდევ ბრწყინვალებას დაიწყებს სახელმწიფო ღერბზე.

### მახნოვჩინა.

მახნოვჩინა თან და თან უფრო ფეხს იკიდებს. ეკატერინოსლავის და პოლტავის გუბერნიების გარდა, მახნოველების ხელში აზოვის ზღვის ნაპირებიცაა. უკანასკნელ ცნობების მიხედვით მახნოველებს დაუჭერიათ: ბერდიანსკი, მარიუპოლი და ტაგანროგი.

### სამხატვრო ნივთეულების გაყიდვა.

საბჭოთა რუსეთის მესვეურებს გადაუწყვეტიათ გაჰყიდონ უძვირფასესი მხატვრული სურათები, ქანდაკებები და სხვა ხელოვნების ნივთები, რომელიც იმყოფება პეტროგრადის საზამთრო სასახლეში. ეს გაყიდვა გამოწვეულია სახელმწიფოს ფინანსიურ კრიზისით.

### პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

ჰატეკმა ჩიჩერინს წარუდგინა პოლონეთის საზავო ხელშეკრულება. საბჭოთა რუსეთმა ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები არ მიიღო. მიღებულია შემდეგი მუხლები: 1) საბჭოთა რუსეთი ვალს არ გადაიხდის, რომელიც ძველ რუსეთს მმართებს, 2) რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოების ცნობა; 3) პოლონეთს უნდა დაუბრუნდეს ის სახელმწიფო ქონება რომელიც გატანილი იყო რუსეთში 1772 წელში; 4) არქივის დაბრუნება; 5) რატიფიკაცია საზავო ხელშეკრულების; 6) პოლონეთს უფლება ექნება გადასწყვიტოს ტერრიტორიალური საკითხები, რომელიც მდებარეობს დასავლეთის მხარეს.

### დაღესტანი.

გზები აღდგენილია. შეაკეთეს ჩირიურტის ხიდი. კოტლიარევის ხიდზე ჯერჯერობით მიმოსვლა მსუნბუქად სწარმოებს. წითელ არმიის ინჟენერები მუყაითად მუშაობენ.

### ადერბეიჯანი.

ბაქოში მცხოვრებლები დამშვიდებულნი არიან. ქალებს ბინდისას ქუჩაზე გამოსვლა ეშინიანთ. ყოველ კუთხეში დაძრწიან ასკერები. განსაკუთრებით მოუსვენარია სადგურის მხარე, საიდანაც ხშირად მოისმის თოფების სროლა. საერთოდ მდგომარეობა ნერვიულია.

## ე რ ო ბ ა

### ვანის თემი.

ვანის თემის წვრილი ერთეულების ხმოსანთს ყრილობა აღნიშნავს რა ვანის რაიონის კომისრის მოქ. ერასტი ნიკოლოზის ძე ფხაკაძის მეტად ნაყოფიერ მუშაობას ამ რაიონში, რომ იგი, როგორც გამოცდილი ადმინისტრატორი, შეუდრეკლად და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, ვანის თემის ერობის ხმოსანთა ყრილობა მადლობას უცხადებს მას და მისი ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავათ ადგენს გაღებულ იქნას თემის სალაროდან ექვსასი (600) მანეთი ვანის გიმნაზიის ერთ ულარიბეს მოწაფეს 1920 წ. 1 ნახ. სწ. ქირიდან განსათავისუფლებლათ.

## ქალაქის თვითმმართველობაში.

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობამ წინადადება მისცა გამგეობის წევრს ბესელიძეს, რათა მან სასწრაფოთ გამოარკვიოს ღ მოახსენოს გამგეობას, თუ, დაახლოვებით, რა დროს განმავლობაში შეიძლება ფუნიკულიორის რემონტის დამთავრება, სათანადო ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენით.

ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ რეკვიზიცია გაუკეთა სუმბათოვის ქ. სახლს № 11. მუსულმანურ ორ კლასიან სასწავლებელისთვის.

სადეზინფექციო კამერაში უფროს დეზენფექტორად დანიშნულია გერონტი ჯაბას ძე ჰელიძე.

## პირველი მაისისათვის

ცენტრალური სამაისო კომისია უკვე შესდგა, რომელიც ყოველ დღე დილის ცხრა საათიდან იკრიბება პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატში, (მუშათა სასახლე, რუსთაველის პროსპექტზე). ჯერჯეროზით ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა შემდეგი: დილის რვა საათიდან ათამდე ამხანაგები იკრიბებიან თავიანთ რაიონებში, კავშირებში, ან საცა ამას საჭიროდ დაინახავენ.

აქ იმართება დილის დღესასწაული, სიმღერა, მუსიკა. კიდევ უფრო ადრე ექვს შვიდ საათზე დილით, მუსიკით, საყვირით, ან ზურნით მუშათა უბნებში საგანგებოთ მორთულ ავტომობილით, ან ფურგუნით, ან ფეხით სასურველია ქუჩებში ჩამოვლა და მოქალაქეთათვის უწყება, რომ დღეს პირველი მაისია.

დიდია, საყურადღებოა ამ დღის მნიშვნელობა, ლოზუნგი. პირველი მაისის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ლოზუნგმა მოგვცა ჩვენ რუსეთის დიდი რევოლიუციები, მოგვცა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ყველა რაიონი თვით უნდა ეცადოს მისცეს თავის რაიონში დღესასწაულს შესაფერი ელფერი.

10—11 საათზე კავშირები და რაიონები დროშებით, პლაკატებითა და სიმღერა-მუსიკით გამოემგზავრებიან მუშათა სასახლისაკენ

აქ და დამფუძნებელ კრებასთან მოკლე სიტყვა მილოცვა, მაგრამ ისე, რომ დემონსტრაცია არ დაიშალოს. დემონსტრაცია ნელა ჩაივლის, ხოლო მუშათა სასახლესთან კავშირის წარმომადგენელი და დამფუძნებელ კრებასთან—ამავე კრების ერთი წევრი მიესალმება მოკლედ დემონსტრაციას.

დემონსტრაცია გაემართება თავისუფლების მოედნით, პუშკინის ქუჩით პლეხანოვის ქუჩით ნაძალადევში—ძმათა სასაფლაოზე, სადაც ამ ჩვენთვის ძვირფასს და დაუვიწყარ ალაგს შეამკობს ვარდ-ყვავილებით. ყვავილების შოვნა და იაფად გაყიდვა უნდა ითავოს თვით რაიონებმა ადგილობრივ, რომ თითო ყვავილი ყველამ მოიტანოს სასაფლაოზე.

შარშანდელსავით წელსაც ცენტრალური კომისია დაამზადებს სამაისო გულზე სატარებელ წითელ ნიშნებს, წარწერით: გაუმარჯოს პირველ მაისს. ქართულად, რუსულად ინგლისურად, სომხურად და თათრულად. ეს ნიშნები გაიყიდება სამ მანეთად თითო სამაისო ხარჯების დასაფარავად.

რაიონებმა უნდა ადრევე დაიკვეთონ და ადრე დაურიგონ თავიანთ ამხანაგებს.

ეს ლენტი აუცილებელია დემონსტრაციაში მონაწილეთათვის.

ძმათა სასაფლაოზე გაიმართება უმთავრესი მიტინგი, საცა ილაპარაკებენ ამისთვის დანიშნული ამხანაგები.

ეს დღე საერთო დღესასწაულია ყველა მშრომელისათვის და რაიმე პოლემიკური გამოსვლა სასურველი არაა.

პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველივე მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა გარდა რკინის გზისა, ნაწილობრივ ტრამვაისა, წყალსადენისა, ელექტრონისა და პურის გასაყიდ ადგილებისა.

პირველი მაისი არის ჩვენი ძალის, სოლიდარობის და ორგანიზაციის მაჩვენებელი ბარომეტრი.

ვემზადოთ ამ დღისათვის!

გაუმარჯოს პირველ მაისს!

დამატებითი ცნობები და პროგრამა შემდეგ დაიბეჭდება.

ცენტრალური სამაისო კომისია.

## სხვა და სხვა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორმა 18 აპრილს ბაქოსა და ერევანში ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობათა თავმჯდომარეებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „პატივი მაქვს გაცნობოთ ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის კომისიის რეზოლიუცია, რომელმაც ყაზახის რაიონი ინახულა იმ მიზნით, რომ მომავალში ყაზახის რაიონში შესწყდეს სისხლის მღვრელი შეტაკებები კომისია აუცილებლათ სთვლის ზემო-აღნიშნულ რაიონში აღდგენილ იქნას ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შეტაკებამდე და მცხოვრებთ მისცენ საშუალება თავიანთ ადგილებზე დაბრუნებისა. ამასთანავე კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი, რომ კომისიის დადგენილების ცხოვრებაში გატარება ადგილობრივ ძალებს დაევალოს. თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი.

◆ ტფილისში მყოფმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციამ შემდეგი დეპეშა მიიღო უზუნტალიდან 19 აპრილს. ამით ვამცნობთ ტფილისის საზავო კონფერენციას, რომ 18 აპრილს, სადგურ უზუნტალაზე ადერბეიჯანის, ყაზახის მაზრისა და სომხეთის, დელეჟნის მაზრის წარმომადგენლები საბოლოოდ შეთანხმდენ საზღვრებზე სისხლის ღვრის შეწყვეტისა და ლტოლვილების უკან დაბრუნებაზე. ოვანეს ჯაგეტიანი, ისკანდერ მურადოვი.

◆ შაბათს, აპრილის 17, საღამოს 8 საათზე შესდგა „შევარდენის" საზოგადოების საღამო, რომელზედაც გაიმართა გიმნასტიური შეჯიბრებანი. საღამოს დაესწრენ: მთავრობის წევრები, ქალაქის მოურავი და ბევრი მიპატიჟებული საპატიო სტუმრები. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

◆ სახელმწიფო თეატრში ოპერის სეზონი დამთავრდება მაისის პირველს.

◆ მეოთხე გიმნაზიის დირექტორმა მ. ზაალიშვილმა წარუდგინა კომისიას სკოლის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება და პროგრამა კანონმდებლობის სწავლება უმაღლეჟ დაწყებითი სასწავლებელში.

◆ შაბათს აპრილის 17 ჟურნალისტთა პროფესიონალურმა კავშირმა დაამთავრა წესდება ჟურნალისტთა კავშირის შესახებ. შემდეგი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს 22 აპრილს.

◆ გემი „პაკე" ბათუმიდან მარსელში გავა პარასკევს, 23 აპრილს.

◆ მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „აპრილის 18-ს ჩემი თანადასწრებით თათართა მცხოვრებლების წარმომადგენლების და ყაზახის გენერალ-გუბერნატორის შორის დაიდო ხელშეკრულება. შეთანხმების ტექსტს შეგატყობინებთ. წარმომადგენლებმა კონფერენციას გაუგზავნეს დეპეშა მომხდარ შეთანხმების შესახებ. ხვალ დღის 12 ს. კომისსია წავა თავის ადგილზე". შინაგან საქ. მინის. ამხანაგი მანასიანცი.

◆ განსაკუთრებულ რაზმმა აღმოაჩინა მეხუთე ბათალიონის ცეხგაუზიდან მოპარული საქონელი, საქონელი უდრის—300,000 მანეთს. გამქურდველი აღმოჩნდა მეშვიდე ბათალიონის ჯარის კაცი ცანავაძე.

◆ დღეს, აპრილის 21-ს, ფინანსთა სამინისტროს შენობაში დღის 1 საათზე დანიშნულია სხდომა. განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: ფულის ტრიალის რეფორმა, გადასატანი ბაჟი, კავკასიის ბანკის წესდება, მიმდინარე საკითხები და სხვა.

## მოწოდება

მოქალაქენო, თქვენ ყველამ დროებით მაინც დაივიწყეთ თქვენი ჭირ-ვარამი და თქვენი გული დღესასწაულების შესახვედრად მოამზადეთ. დროებით მაინც მოგიტანათ დღესას-

759
ეროვნული ბიბლიოთეკა

წაულმა გადახალისება, გამხიარულება, ფიქრის მიყუჩება, სევდის უკუყრა.

არიან ისეთი უბედურნი, რომლებიც დღესასწაულებში კიდევ უფრო მწვავედ გრძნობენ თავის უბედურებას, თავისი მდგომარეობის საშინელებას.

ამათ რიცხვს ეკუთვნიან მიწის ძვრისაგან განადგურებული გორელები. სხვა უბედურს სახლი მაინც აქვს, რომ თავი შეიფაროს, სუფრა გაშალოს და მცირე ხანს მაინც დაისვენოს.

გორელებს კი ყველაფერი წაართვა, დაანგრია ბუნების სტიქიონმა და უბრალო ფიცრულებსა და ფაცხებში ხვდებიან სამხიარულო დღეებს.

სხვებისთვის საბედნიერო და სამხიარულო დღეები მათთვის განსაკუთრებით მწარე და ტკივილების ამშლელია.

ის უბედურება, რომელიც მათ თავს დაატყდა, განსაკუთრებით მწვავეა ასეთ დღეებში.

მოქალაქენო, ჩვენც ამიტომ, განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ ისინი დღევანდელ დღეს.

როდესაც ჩვენ ბედნიერი ვართ, უბედური არ უნდა დავივიწყოთ.

როდესაც მხიარული ვართ, გულდათუთქული და მტირალი უნდა გვახსოვდეს.

ჩვენი დრო—ერთობის, ძმობის დრო არის.

**მთავარი ბიური.**

## ბათუმის ამბები

— ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების კოოპერატივისათვის საკუთარ ბინის შესაძენ ფონდში ამ ჟამად არის 61057 მან. 50 კაპ.

— ბათუმის ოლქში კოოპერატივთა გამავრცელებელი საზოგადოებამ პირველ საჭიროებათ აღიარა მიიღოს საჭირო ზომები რათა მოწვეულ იქნას ინსტრუქტორი.

მეორეთ, აღიარა კოოპერატიული საქმეთათვის აუცილებელ საჭიროთ ბეჭდვითი საქმე. ამავე საზოგადოებამ ზემოაღნიშნულ მიზნისათვის დაადგინა კოოპერატიულ სამკითხველოსთან მოიწვიოს კოოპერატორები ფულის შესაგროვებლად.

— ქალაქის მცხოვრებთა აღწერა დასრულდება მომავალ კვირას. ამ ჟამად ნახევარზე მეტი საქმე აღწერისა უკვე დასრულებულია.

— ბათუმის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა შეიძინოს 3000 ფუთი სელიტრა. ფულს იხდის სამოქალაქო სამმართველო.

— რუსთა ეროვნული საბჭო აპირებს ახლო მომავალში გახსნას ბათუმში იაფ ფასიანი სასადილო. მიღებულია შენობის გამოსაძებნად საჭირო ზომები.

— ბათუმის სამეურნეო საზოგადოების ქონება ამ ჟამად შეფასებულია 1,200,000 მანეთად. წლიური ხარჯები უდრის 250 ათას მანეთს. გამოირკვა, რომ აღნიშნულ საზოგადოებას ამ თანხით შეუძლია განაგრძოს თავისი მუშაობა.

— ორშაბათს ფოთიდან ბათუმში მოვიდა რუს. გემი „კიევი“ და „დონეცი“.

— უდროო დროს ქუჩაში გამოსვლისთვის დატუსაღებულ იქნენ: ი. სავენკო, ნ. გონზენკო და ს. ბეროვი.

— ოტტოს ბინიდან (პუშკინის ქ.) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 100,000 მანეთად.

— პასპორტის უქონლობისათვის დატუსაღებულ იქნენ და პასუხისგებაში არიან მიცემულნი აბას ოღლი და დ. ჩიბურდანიძე,

— 15 აპრილს შრომის ბირჟაში კიდევ ჩაეწერა 31 უმუშევარი.

— ბათუმიდან უნებართვოთ საქონლის გატანისთვის დაჯარიმებულ იქნენ ლ. სულეიმანი 800 მანეთით, თავდიშვილი 600 მან. და სხ.

— ამ დღეებში ბათუმიდან მარსელასაკენ წავა საფრანგეთის გემი „ფრიჟი“. გემი გაივლის კონსტანტინოპოლშიც.

— ფოთიდან ბათუმში მოვიდა რუსეთის გემი „ბაქო“.

## ხელოვნება

**ქართული სამუსიკო საზოგადოება.**

17 აპრილს შესდგა ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და სამუსიკო კოლეგიის შეერთებულ კრება, კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, კაპელას და საოპერო სტუდიის რეორგანიზაციის შესახებ.

**კაპელა**

კაპელას შესახებ კრებამ დაადგინა: 1. კაპელა არის ქართული სამუსიკო საზოგადოების მუდმივი ორგანიზაცია. მისი მიზანია—როგორც სახალხო სიმღერების, ისე ქართულ კომპოზიტორთა და უცხო კლასიკების ნაწარმოებთა მხატრული შესრულება.

**შენიშვნა**: საოპერო სტუდიის გამოსვლებში კაპელა იღებს მონაწილეობას ოპერაში, როგორც საოპერო გუნდი.

2. კაპელა შესდგება 24 მომღერალისაგან, რომელიც წარმოადგენს მუდმივ შტატს და სდებს მასთან ხელშეკრულებას ერთი წლის ვადით. 3. კაპელას ეძლევა უფლება საჭიროების მიხედვით მოიწვიოს დროგამოშვებით დაქირავებული მომღერლები არა უმეტეს 12 კაცისა.

**საოპერო სტუდია.**

საოპერო სტუდიის შესახებ კრებამ დაადგინა: 1. ქართული საოპერო სტუდია არის მუდმივი დაწესებულება. 2. საოპერო სტუდიის მიზანია: ვოკალური და სცენიურის მხრივ აღზრდა—გაწვრთნა ქართულ მომღერალთა ქართულ საოპერო დასისათვის. 3. სტუდიაში მიიღებიან სიმღერის კლასის დამთავრებული ახალგაზრდები. 4. სტუდია იყოფა ორ კურსად: 1) საერთო კურსი: საერთო ვოკალური განვითარება, სცენიური გაწვრთნა. 2) სპეციალური, საოპერო და საკონცერტო რეპერტუარის შესწავლა, სცენიური დამუშავება პერსონებისა. 5. პირველ კურსის სტუდიანტებს ეკრძალებათ ყოველგვარი საჯარო გამოსვლები. 6. სპეციალური კურსის სტუდიანტების მოვალეობას შეადგენს: 1) გამოსვლა, როგორც კაპელას სოლისტებისა, 2) გამართვა კონცერტებისა კაპელასთან ერთად, 3) ოპერების გამართვა კაპელასთან ერთად ფართე მასსისათვის.

ამ მოვალეობის ასრულებისთვის სპეციალურ კურსის სტუდიანტებს ენიშნებათ ჯამაგირები 1 სექტემბრამდის, მხოლოდ სექტემბრიდან სტუდიას არავითარი ჯამაგირი არ ეძლევა.

## ფოსტა-ტელეგრაფში

სოფელ ჯახსუში (ახალციხის მაზრა), რომელიც მდებარეობს არტაანსა და ახალციხის შუა და შორავს უკანასკნელს 30 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

სოფელ ჯიხაში-კარში (ზუგდიდის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

## მილიციაში

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრაო ევგენი კონსტანტინეს ძე ბრჟეზოვსკი, რომელსაც ევგენია ბრჟეზოვსკაიასთვის მოუპარავს 15,000 მან. ღირებული ნივთები. ნივთები პატრონს ჩაბარდა. ე. ბრჟეზოვსკი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

## ბიულეტენი საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

**ტფილისი, 19 აპრილი 1920 წ.**

**ნაშუად. 1 საათ.** ჰაერის წოლა მმ.: 725.0; ჰაერის ტემპერატ.: 19.3; შეფარდებ. სინოტ. %: 39; მოღრუბლ.: 10: ქარი: SE 2; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 32.2; ბუნებრივ.: 29.4.

**ხაღამ. 9 საათ.**: ჰაერის წოლა მმ.: 724.1; ჰაერის ტემპერ.: 15.1; შეფარდებ. სინოტ. %: 71; მოღრუბლ.: 10; ქარი: S 1; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 17.0; —ბუნებრივ.: 14.1 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 19 აპრილი: 14.6; ნორმალი: 11.8; მაქსიმალი: 21.2; მინიმალი: 7.1.

**დილ. 7 საათ. 20 აპრილი** ჰაერის წოლა მმ.: 722.1; ჰაერის ტემპერ. 13.1; შეფარდებ. სინოტივ. %: 82; მოღრუბლ.: 10. ქარი: E 1; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 15.0; ბუნებრივ.: 15.0; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 0.0; შენიშვნა:—

წვიმა ღამ.

**დილ. 7 საათ. 19 აპრილი 1920 წ.**

| დაკვირვების ადგილი | ჰაერის ტემპერ. | მინიმალ. ტემპერ. | ნალექი მმ. | ქარი | ზღვის ღელვა. |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილ. 1) . | 9.5 | 7 | — | SW 1 | — |
| ბორჯომი 2) | 3.8 | 2 | 2 | — | — |
| ფოთი . | 11.3 | 8 | — | NNE 1 | 0 |
| სოხუმი . | 12.6 | 10 | — | SSW 1 | 0 |
| გაგრი 3) . | 11.8 | 11 | 1 | — | 0 |

**შენიშვნა**: 1) ნამი ღამ., დილ.; 2) წვიმა დღით; 3) წვიმა ღამ.

## განცხადებანი

**სახლები, მამულები, ვენახები**

ტფილისში და მთელ კავკასიაში სავაჭრო და სამრეწველო საწარმოონი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა შეიძლება ხელსაყრელათ იყიდოთ ან გაყიდოთ „ინტელიგენტთა ჯგუფის“ საშუალებით. დავითის ქ., № 3, ბინა 2, ტელ. 2—28. 11—2 საათ. და 5—7 საათ. 719 1—1

დაიკარგა სამი სულისა სასურსათო წიგნაკი მიხელ ბეგლარის ძე კუხელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 721 3—1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სტეფანე ფილიპეს ძე ოჯიხინის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ოჟიხინის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 487 1—1

დაიკარგა ვადიანი პასპორტი, არჩილ ალმასხანის ძე როხვაძის სახელზე, მიღებული ს. ვანის თემის გამგეობიდან და ვაჭარ ნებიესოვისგან ბიქტორ აბრამიძის სახელზე, მიცემული 90,000 მანეთის კვიტანცია. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 716 3—1

დაიკარგა პასპორტი ფეოდოსია ივანეს ასული მოისეევის სახელზე, მიღებული ტფ. მეორე უბნის კომისრისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 717 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 117-ალექსი ესტატეს ძე ციციშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 718 3—1

დაიკარგა პასპორტი შუღავატ ხინგის ასული ირიციანცის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 711 3—1

დაიკარგა პასპორტი იაკოფ ანდრიას ძე კარაპეტოვის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულის სამმართველოდან ქ. კავკავში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 713 3—1

დაიკარგა პასპორტი აბრამ ნიკიტას ძე ბეროვსკის სახელზე, მიღებული ტფ. სისხლის სამართლის მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 715 3—1

თამარა ილიას ასული იმერლიშვილისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი 7 კლ. № 47 და 8 კლ. მოწმობა № 100 მიღებული 1916 წ. თელავის ქ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 692 3—3

ენოკ აკოპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. 694 3—3

დაიკარგა პასპორტი სერგეი ალექსის ძე როდინის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—2

დაიკარგა პასპორტი მარია ლავრენტის ასული დოლინას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

კერძო ვექილმა პავლე გოჯასპირის ძე ლორთქიფანიძემ დაჰკარგა: 1) ძიებითი თხოვნა საწირის მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე მაქსიმე კუბლაშვილის და წევრის გერმანე ცირეკიძის ქუთაისის ოლქის სასამართლოს სახელზედ, რომლითაც ისინი ეძიებდენ ანტონ ცირეკიძესაგან ოცდა ექვსი ათას და რამოდენიმე მანეთს შინაური ხელ-წერილის ძალით, ჩამორთმეულის უკანასკნელისაგან ადგილობრივი კომისრის მიერ 1919 წელში, 2) ასლი იმავე თხოვნისა, 3) ზემო მოხსენებული ხელ-წერილი თავისი ასლით, 4) ქუთაისის ხაზინის კვიტანცია ხუთას რამოდენიმე მანეთის სასამართლოს და სხვა ხარჯების გარდახდისა კუბლაშვილის და ცირეკიძის მიერ შესახებ მოხსენებული მათი ძიებისა და 5) აბდალაძის აპელაციური საჩივრის ასლი, შესახებ გზის ძიებისა მისგან ბიქტორ აბრამის მიერ, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—3

ქ. ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 24 აპრილს, შაბათს დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ბუტკის, რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე მესამე უბანში, იჯარით გასაცემათ ქარვასლის წინ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. ქალაქის გამგეობა. 441 3—2

დაიკარგა არტელშჩიკის მოწმობა იოსებ მიხეილის ძე სარქისოვის სახელზე, მიღებული საავაციო გუნდიდან და სამი კვიტანცია, მიღებული სამხედრო სამინისტროს სასურსათო საწყობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 710 3—2

## ტყიბულის სამთამადნო წარმოების „ნახშირა“-ს გამგეობა

ამით აუწყებს ბ-ნ აქციონერებს, რომ რადგან არ მოხდა საერთო ყრილობა აქციონერებისა 1920 წ. 10 აპრილს, ამავე დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ, მეორე ყრილობა § 62 წესდების ძალით არის დანიშნული შაბათს 24 აპრილს, გამგეობის ბინაზე სოლოლაკის ქუჩაზე № 14. საღამოს 7 საათზე. 733 4—1

## ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, აპრილის 26-ს, დღის 12 საათზე, მამულის სამმართველოს შენობაში, ბორჯომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ფოსტაზე. ფოსტასთან არის საავტომობილო გარაჟი, სამზარეულო ბინა—4 ოთახისგან და დიდი ეზო. ვაჭრობა დაიწყება 20 ათას მან. 720 3—3

## ქართული აქციონერ. საზოგადოება „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 მაისს, დილის 11 საათზე, ქალაქ ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე. ციციაშვილების სახლი) დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური

## ჩვეულებრივი კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საზოგადოების დაარსების დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან ამა 1920 წლის პირველ იანვრამდის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
2. დივიდენდის დარიგება;
3. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
4. გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები;
5. სხვა და სხვა კითხვები.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრების უფლება ექნება და ხმა მიეცემათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სახელოვანი აქციები აქვს, აგრეთვე იმ უსახელო აქციების პატრონებს, რომლებიც კრებამდის არა უგვიანეს ერთი კვირისა წარმოადგენს გამგეობაში ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში და კრების გათავებამდის უკან არ წაიღებს თავის უსახელო აქციებს. აქციების მაგივრად შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე ბანკის, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებათა (ქალაქის გამგეობათა და ერობათა) მოწმობა აქციების გირაოთ ან შესანახად მიღებისა. ამ მოწმობებში უნდა იყოს ნაჩვენები იმ აქციების რაოდენობა, მათი ნომრები და ღირებულებანი. 724 3—2